

## თიბისი ბანკის 2011 წლის შედეგები

თბილისი, 26 იანვარი, 2012 - თიბისი ბანკმა 2011 წელს ძირითადი ფინანსური მონაცემები დინამიურად გაზარდა და მისი არსებობის მანძილზე მაქსიმალურ მაჩვენებლებს მიაღწია. კერძოდ:

- აქტივები 974 მილიონი ლარით გაიზარდა და 3 მილიარდ 224 მილიონ ლარს მიაღწია;
- სესხების პორტფელი გაიზარდა 530 მილიონი ლარით და წლის ბოლოს 2 მილიარდ ლარს გადააჭარბა.
- 615 მილიონი ლარით გაიზარდა ანაბრების პორტფელი და წლის ბოლოს 1 მილიარდ 970 მილიონი ლარი შეადგინა.

ერთ-ერთ მთავარ მიღწევად ბანკი მიიხნევს 2011 წლის დასაწყისში, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ფინანსური ინსტიტუტის, ბანკი "კონსტანტას" აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენას. ამით თიბისი ბანკმა მყარი პოზიციები დაიკავა მიკრო ბიზნესის დაკრედიტების ბაზარზე, სადაც მანამდე ის აქტიურად არ იყო წარმოდგენილი.

ამ ტრანზაქციის შემდეგ, 2011 წლის განმავლობაში "კონსტანტას" 78%-ით გაზარდა აქტივები და 71%-ით გაზარდა საკრედიტო პორტფელი.

2011 წელი ასევე წარმატებულად ფასდება თიბისი ბანკის სხვა შვილობილი კომპანიების მიერაც: თიბისი ლიზინგმა საბაზრო წილი 18,7 პროცენტული პუნქტით გაზარდა, ხოლო აზერბაიჯანში მოღვაწე "თიბისი კრედიტის" აქტივები შარშან 35%-ით გაიზარდა, საკრედიტო პორტფელი კი – 31%-ით. 15 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა "თიბისი ინვესტის" (ისრაელი) დეპოზიტების პორტფელი.

რაც შეეხება თიბისი ბანკს, ანაბრების ბაზარზე ის კვლავ ინარჩუნებს ყველაზე დიდ წილს. საქართველოში კერძო პირების ანაბრების 34% დღეს სწორედ თიბისი ბანკშია განთავსებული.

ანაბრების პორტფელის 615 მილიონიანი ზრდა, ბანკის სტაბილურობასა და სანდობასთან ერთად, წარმატებულმა მარკეტინგულმა კამპანიებმაც განაპირობა – **"იპოვე \$10.000"**, **"მოიბე \$20.000"** და სხვა. ამ კამპანიებს სერიოზული აღიარება ხვდა წილად მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სარეკლამო ფესტივალებზე: Eurobest Advertising Festival, Popok, Eurobest 2011, სადაც თიბისის ამ ქვისმა ვერცხლის და ოქროს პრიზები დაიმსახურა.

◆ დაფუძნდა 1992 წელს.

◆ აქციონერები: EBRD, IFC, DEG, FMO, JP Morgan, Ashmore Funds და ქართველი კერძო პირები.

◆ ლიდერი ანაბრების ბაზარზე.

◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;

◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა.

◆ ფლობს წამყვან პოზიციებს ლიზინგის, საბროკერო დასადაზღვევო ბაზრებზე.

◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის (TBC Kredit) და ისრაელის (TBC Invest) ბაზრებზე.

◆ წლის საუკეთესო ბანკი საქართველოში - Financial Times Group-ის ჟურნალ The Banker-ის მიხედვით.

◆ წლის საუკეთესო ბანკი საქართველოში - ჟურნალ Euromoney-ის მიხედვით.

◆ ახალი ტიპის საბანკო ფილიალების მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;

◆ FitchRatings: B + and B

◆ Moody's: B 1 and Ba 3

ანაბრების წარმატებული კამპანიის შედეგად, ნოემბერში თიბისი ბანკის ფიზიკური პირების ანაბრების პორტფელმა 1 მილიარდ ლარს გადააჭარბა.

გარდა ამისა, 2011 წელს თიბისი ბანკმა:

- ◆ გახსნა 5 ახალი ფილიალი;
- ◆ 19 ახალი ბანკომატით გააფართოვა ქსელი;
- ◆ smart კლუბის წევრებს საჩუქრად გადასცა 1.3 მილიონი ლარის ღირებულების smart ქულები;
- ◆ დანერგა ახალი პროდუქტები: "პრაიმ ქარდი", "აი ქარდი";
- ◆ ქველმოქმედების სახით გაიღო 1 მილიონ 30 ათასი ლარი და განახორციელა რამდენიმე მასშტაბური სოციალური პროექტი;
- ◆ შექმნა სოციალური მედიის ყველაზე მასშტაბური პროექტი ქართულ საბანკო სფეროში – დღეისათვის სოციალური ქსელის მომხმარებელთა ყველაზე დიდი წილი, 45% სარგებლობს თიბისი ბანკის გვერდებით Facebook-ზე.

2011 წელი შეიძლება შეფასდეს, როგორც თიბისი ბანკის 19 წლიანი ისტორიის კიდევ ერთი წარმატებული წელი, რაც წლის ბოლოს, ასევე აისახა საერთაშორისო რეიტინგებშიც:

- ◆ "Financial Times Group"-მა და მისმა ჟურნალმა "The Banker" თიბისი ბანკი საქართველოში „წლის საუკეთესო ბანკად“ დაასახელა,
- ◆ ჟურნალმა "Euromoney" თიბისი ბანკს საქართველოში 2011 წლის საუკეთესო ბანკის" სტატუსი მიანიჭა,
- ◆ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ "Fitch" თიბისი ბანკის სიცოცხლისუნარიანობის რეიტინგი **B** -დან **B+** მდე აამაღლა. თიბისი ბანკი 2011 წლის საუკეთესო ქართული ბანკია Deutsche Bank-ისა და Commerzbank-ის მონაცემებითაც.

2012 წელს თიბისი ბანკი 20 წლის ხდება! ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, დაიწყო პროექტი "20 წელი – 12 თვე", რომლის ფარგლებშიც, თიბისი ბანკი თავის მომხმარებლებს 2012 წლის განმავლობაში ბევრ სიახლეს შესთავაზებს.